სახალხო გაზეთი

№ 502 ოთხშაბათი, 18 იანვარი 1912 წ. № 502

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი საროჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით

(კვირაობით)

პრემია 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ ტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	[illegible]	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

912 წ. 19 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჰამლეტი,

5 მოქ. ვ. შექსპირისა.

ფასები ჩვეულებრივია.

ამლეტის როლს შეასრულებს ვლ. მესხიშვილი. დაწვრილებით პროგრამაში. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ეჟისორი მესხიშვილი (3—184—2).

იბეჭდება თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

ომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და გრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელისმოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდ-ა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:— „კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვი-ის წიგნის მაღაზ. დაანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.3)

მიიღება ხელის მოწერა 2 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დუზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

იგნი მოგვითხრობს ბავშვფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფეროს: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, ხსიერებას და სხვ. ხელისმოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და თავრიშვილის წიგნის მაღაზში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—2)

ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით დმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10.** ტელეფ. 792. (თ 100—1534—78).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ვადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1, საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება ენტგენის სხივებით, ვერა, რლანწოვის ქ., № 20. 1249 58).

ექიმი ე. ი. მინიანცი შინაგან, შვთა, კუჭისა ა ნაწლევ, სნეულებათა, პაწელ პროფეს. Inthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-მდე და საღამოს 7 საათამდე. ისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (1—1117—78).

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.44).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, **№ 151** (დიდუბე). (თ, 1660.19)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

ძმათა ა. და ა. მილოვების

სავაჭრო სახლი

აცხადებს, რომ **19 იანვრიდან 26 იანვრამდე** დანიშნულია წელიწადში ერთხელ ჩვეულებად დადებული შვიდ-დღიანი

უდიდესი ვაჭრობა

აბრეშუმეულისა, მატყლეულისა, ტილოსი, ბამბეულისა საქონლის და **უ თ ვ ა ლ ა ვ** ინგლისურ მაუდისა, აგრეთვე მზად შეკერილ **კაბებისა,** და **ხალათებისა,**

მეტის-მეტად იაფად

იაფ ვაჭრობის დღეებში, ნაშუადღევის 2½—4 საათამდე სადილობის დროს, მაღაზია დაკეტილი იქნება. (3.1057.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სალოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—247)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 2 3)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიქანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 118. (თ. 1591 85)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო **განყოფილების** პირდაპირ. (თ.—183—)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ. 1090 252)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (**50—1552—25**)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16,** ტელ. **693.** (თ—1657— 7)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. **№ 3,** ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12** ს. (9—32).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67,** სახლი სვანიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., **№ 5.**

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№ 12.** სახლი მდივნისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ინგლისელ სტუმრების შეხვედრის თაობაზე, სათათბიროს ფრაქციებმა სხვა და სხვა აზრი გამოსთქვეს. სხვათა შორის, შრომის ჯგუფის თავმჯდომარისაგან ნ. ა. ხომიაკოვს შემდეგი დეპეშა მიუღია:

მოწყალეო ბატონო, ნიკოლოზ ალექსის ძევ! ღრმა თანაგრძნობით ვეკიდებით განათლებულ ერებთან რუსეთის დაახლოვებას, განსაკუთრებით ვეგებებოდით ინგლისის ხალხთან დაახლოვებას, რომელიც ყოველთვის განცვიფრებასა და აღფრთოვანებას იწვევს მეცნიერებისა, ხელოვნებისა და სახელმწიფოებრივ წყობილების სარბიელზე.

მაგრამ დღევანდელი სტუმრობა ინგლისის საზოგადო მოღვაწეებისა, საუბედუროდ, არ ემსახურება ეროვნებათა ნამდვილ დაახლოვებას და დაფუძნებულია მხოლოდ ორივე ეროვნების მთავრობათა და კაპიტალისტთა ზოგიერთ საერთო ინტერესებსა და რუსეთის მთავრობის სურვილზე: იმათა ჰსურთ უცხოელ სტუმრებს დაანახონ რუსეთის საზოგადოებასთან თვისი ერთობა.

ჩვენის აზრით, ის ფორმა, რომელშიაც ინგლისისა და რუსეთის მთავრობის დაახლოვება გამოისახა, თანაგრძნობის ღირსი არ არის. ევროპის ერთი ულიბერალესი სახელმწიფო დღეს-დღეობით თვის ავტორიტეტით ადასტურებს რუსეთის მთავრობის როგორც გარეშე, ისე შინაურ რეაქციონურ პოლიტიკას. ორივე მთავრობა სცდილობს შეერთებულის ძალ-ღონით მიწასთან გაასწოროს დაბეჩავებული სპარსეთის ერი, რომელმაც საუკუნოებიდან დამკვიდრებულ ტირანიის წინააღმდეგ გაილაშქრა.

უფრო ნაკლებ თანაგრძნობას იწვევს რუსეთის მთავრობის სურვილი, რომ ინგლისელ სტუმრებს ზეიმით შეჰხვდეს, რუსეთის საზოგადოებასთან თვისი ერთობა დაამტკიცოს, როდესაც ნამდვილად რუსეთის მთავრობა და რუსის ხალხი ორს მოწინააღმდეგე ბანაკს წარმოადგენს.

განსაკუთრებით უდროოდ მიგვაჩნია ასეთი ზეიმი დღევანდელ მდგომარეობაში, როდესაც რუსეთის მრავალ მილიონიანი გლეხობა შიმშილის სიმწვავეს განიცდის. ამ მოსაზრებით შრომის ჯგუფი იძულებულია უარი სთქვას ინგლისელ სტუმართა მიღებაში მონაწილეობაზე.

ხვალინდელ ნომერში მკითხველებს გაზეთ „რეჩის“ აზრს გავაცნობთ ამავე საგანზე.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

როძიანკო თავმჯდომარეობდა.

წაიკითხეს განსახილველ ხაგანთა სია, სხვათა შორის, უფის გუბერნიის დეპუტატის ბლუმენტალის სამართალში მიცემის საკითხი.

პეტროვი მე-3 რიგს გარეშე ლაპარაკობს და აღნიშნავს შჩედრინისა, ეკატერინობურგისა და კამიშლოვის მაზრელების გაჭირებას და მოითხოვს უფასო სასადილოების გახსნას.

განაგრძობენ კამათს ხოლმშჩინის გამოყოფის თაობაზე.

ჟუკოვსკი აღნიშნავს კანონ-პროექტის უმნიშვნელობას კანონმდებლობის მხრით. იგი მხოლოდ მებრძოლ ნაციონალიზმისთვის არის ხელსაყრელი და მთავრობას არჩევნებს წინ ჰსურს ხალხს უჩვენოს კურსის შეუცვლელობაო. პოლონელებმა კარგად იციან თავისი მდგომარეობა: პოლონეთი რუსეთში მაინც ერთეულს წარმოადგენს და სათათბიროს უმრავლესობა ძალიან სასტიკ ბრძოლას აწყებინებს მთავრობას. კანონპროექტი უეჭველად გამოიწვევს რუსისა და პოლონეთის ხალხის ბრძოლას და ამიტომ წინააღმდეგნი ვართ ხოლმშჩინის გამოყოფისა.

პავლოვიჩს შესწორება შეაქვს რო ხოლმსის გუბერნიაში საკუთრების შეძენის საქმე ისევე უნდა სწარმოებდეს, ვით დასავლეთის ცხრა გუბერნიაშიო.

მარკოვი მე-2 ვერ არის მადლიერი კანონპროექტის შემდგენელთა. იქ ისეა ნათქვამი, თითქოს მართლაც რაღაც განსაკუთრებული, ხელუხლებელი ტერიტორია ჰქონდეთ პოლონელებსაო. ამ მხრივ პროექტი მავნეც არის, მავნე ილუზიას ხელს უწყობს, მაგრამ მაინც მისაღებია: თუ სხვანაირად ვერ ვებრძვით პოლონელთა დამჩაგვრელობას, ამით მაინც დავიცათ თავიო. პოლონელები კი დროა გამოტყდნენ: ისინი თავის დღეში არა ყოფილან რუსეთის სახელმწიფოს ერთგულნი (მემარჯვენეთა ტაში).

ბობიანსკი ამბობს, კანონ-პროექტი ძლიერის მიერ უძლურისაგან წართმევააო. მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ კულტურას ძალით ვერ შევქმნითო. იგი კანონ-პროექტს ნაციონალიზმის უკანასკნელ სლოკინს უწოდებს (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

გრაფმა ბობრინსკიმ ჟუკოვსკის წინააღმდეგ დიდხანს ილაპარაკა და უარჰყო კანონპროექტის პოლონელთა საწინააღმდეგო ხასიათი. იგი მხოლოდ რუსთა დასაცავად და სახსნელად არის შედგენილი. სტოლიპინის სიკვდილით რუსის ნაციონალიზმი არ მომკვდარა, იგი მხოლოდ აღორძინდა. თუ პროექტს მიიღებს სათათბირო, ხოლმსელ რუსებს იხსნისო. (მემარჯვენეთა და ცენტრელების ტაში). მოლაპარაკეთა რიცხვი 80 მაგივრად 20 განსაზღვრეს.

ზავიშა. კანონ-პროექტი გამარუსებელი პოლიტიკის ნაყოფია, რაც დიდი ხანია დაჰგმო ისტორიამ და ვერც ვერაფერი სარგებლობა მოუტანა სახელმწიფოს. ამით პოლონელებს ბრძოლას უცხადებენ, ისინიც მოემზადებიან ამის ასატანად და აიტანენ კიდეც, მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ მაგით ძლიერი სახელმწიფო შეჰქმნათ.

იანუშკევიჩი მომხრეა კანონპროექტისა.

სვეცინსკი აღნიშნავს პოლონეთის ერთეულობას. ვისაც ეს არ ესმის, იგი ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავსო.

კაპუსტინი თავმჯდომარეობდა.

წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია, სხვათა შორის, საკანონმდებლო მოსაზრება პოლონეთის სახაზინო ტყეზე ბაჟის დადებისა, და იმაზე, რომ ამერიკელ ებრაელთ რუსეთში შემოსვლა აეკრძალოთ. აუწყეს აგრეთვე პროგრესისტთა შეკითხვა უფის გუბერნატორის უკანონობის შესახებ. ხელის მომწერნი მოითხოვენ, შეკითხვის განხილვა ორის კვირით მაინც გადასდონ.

განსახილველია 1890 წლის 22 ივნისის საერობო დებულების შემოღებისა ასტრახნისა, ორენბურგისა და სტავროპოლის გუბერნიაში. **ზვეგინცევმა** წაიკითხა მოხსენება ამ საკითხის თაობაზე. კანონ-პროექტის საჩქაროდ განხილვის საჭიროება აღიარეს.

ვინოგრადოვი. ასტრახნის დეპუტატები მოვითხოვთ 1890 წლის დებულების ტიპის ერობას, თუმცა ძალიან ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ამასაც არ გვაღირსებენო.

შინგარიოვი. 1890 წლის საერობო დებულების უვარგისობა უმაღლესის ბრძანებით არც კი აღნიშნეს 1904 წლის 14 დეკემბერს. ეხლა კი მესამე სათათბიროელები არც ლაპარაკობენ ამ დებულების გადასინჯვის საჭიროების თაობაზე. მაგრამ რას ვიზამთ. მაინც ხელს არ შევუშლით ერობის შემოღებას, თუმცა იგი მცხოვრებთ ბევრს მოუხერხებელ მდგომარეობაში ჩააგდებსო.

ბერეზოვსკი მომხრეა კანონპროექტისა.

გეგეჭკორი შინგარიოვს უპასუხებს. სოციალ-დემოკრატებს თავის

დღეში არ დაუსახავთ დევიზად: „ან ყველაფერი, ან არაფერი“, ამას, სხვათა შორის, ჰმოწმობს სოციალ-დემოკრატთა მიერ შემოტანილი რამდენიმე პროექტი. ახლანდელი კანონ-პროექტი საარჩევნო ალლუმია, იგი კანონად ვერ გადაიქცევა, რადგან სათათბიროს მუშაობის ვადა უთავდება.

საველიევი. საჭიროა ერობის შემოღება დასახელებულ გუბერნიასა და ციმბირში.

შინგარიოვისა და გეგეჭკორის ლაპარაკს შემდეგ მსჯელობა გათავდა.

მომხსენებელი ზვეგინცევი კანონ-პროექტის მიღებას მოითხოვს. საჭიროდ აღიარეს მუხლობრივ განხილვა. კანონის შემოღების ვადად დანიშნეს 1913 წლის პირველი იანვარი.

კამათი გამოიწვია მეცამეტე მუხლმა. იგი შესაძლებლად სცნობს უცენზოების ამორჩევას ქალ. გამგეობის წევრად, თუ მათ უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი გაუთავებიათ.

ტიმოშკინმა შეიტანა შესწორება, რომ ებრაელებს აეკრძალოს ხმოსნად ამორჩევა. ტიმოშკინს ემხრობა **ბერეზოვსკი** მე—2.

კენჭის ყრით მეცამეტე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. სხვა მუხლები უკამათოდ მიიღეს.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს. ამოირჩიეს სტაროობრიადცების მოქალაქობრივი მდგომარეობის მოწესრიგების კანონ-პროექტის შემთანხმებელ კომისიის წევრები. საბჭომ სათათბიროს რედაქციით მიიღო სამი წვრილმანი კანონ-პროექტი.

სხდომის დროს საბჭოში მოვიდნენ **ინგლისის დელეგაციის** წარმომადგენლები, მათ რიცხვში ორი ეპისკოპოსი, ადმირალი ბერსფორდი და ბირბეკი.

სხდომის შეწყვეტისას თავმჯდომარემ გააფრთხილა საბჭო, 25 იანვარს საყოველთაო პირველ დაწყებითი სწავლის შემოღების კანონ-პროექტის განხილვა მოხდებაო. სხდომის შემდეგ ინგლისელებს ჩაი, ხილი და შამპანიური მიართვეს.

აკიმოვმა სტუმრებს მიმართა და მწუხარება გამოსთქვა, ავადმყოფობის გამო პირველ დღეს მონაწილეობა ვერ მივიღე თქვენს პატივისცემაშიო. მხოლოდ საღამოს ექვს საათზე წავიდნენ სტუმრები მარინეს სასახლიდან.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად** ხელახლა არჩეულ იქმნა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

✦ **ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევა** დროებით გადადებულ იქმნა, რადგანაც ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს სამსახურის ვადა მარტში უთავდება, ამიტომ განზრახულია ჯერ გამგეობის ახალ წევრის არჩევა დანიშნონ და შემდეგ მოურავის მოადგილისა.

✦ **ლოტო.** ტფილისის კლუბების მამასახლისთა საერთო კრებამ, რომელიც გუბერნატორის თავჯდომარეობით მოხდა, დაადგინა: კლუბებმა ლოტოს ფულიდან 10% მაგივრად 15% აიღონ იმ პირობით კი, რომ 3% საქველმოქმედო საქმეებისათვის გადასდონ.

✦ **საგეოგრაფიო საზოგადოების** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 3,467 მან, 43 კაპ.

✦ **ტფილისის უნივერსიტეტის** სასარგებლოდ ბაქოს საზოგადო საკრებულომ ყოველწლიურად გადასდო 1,000 მან.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ თელავის განყოფილებისაგან შემოსავლის 20% (100 მან.) მიიღო. დანარჩენ განყოფილებათაგან გამგეობას ჯერ-ჯერობით არც ფული მიუღია და არც ანგარიშები, რომელი გარემოებაც დიდად შეაფერხებს წლიურ ანგარიშის დროზე შედგენას.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის წინაშე ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურის მცხოვრებნი, რიცხვით 31 კაცი, საზოგადოების განყოფილების გახსნაზე შუამდგომლობენ.

✦ **საზარელი შურის ძიება.** 1911 წელს 13 დეკემბერს, ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ალექსანდრე გიორგის ძე ერმიშევი. რადგანაც უკანასკნელი სახლში აღარ დაბრუნდა რამდენისამე დღის განმავლობაში, ამიტომ დაკარგულის მამამ გიორგი როსტომის ძემ ეს ამბავი მაძებარ პოლიციის უფროსს აცნობა. უკანასკნელმა შემდეგი გამოარკვია: დაკარგულს ალექსანდრეს ამ შვიდის წლის წინად თავისი სიდედრი სოფიო პოლოსოვი მოუკლავს, რისთვისაც სასამართლოს წელიწად-ნახევრის ციხე მიუსჯია. სასჯელი ერმიშევს ტფილისის ციხეში მოუხდია. დაკარგვის დღეს ალექსანდრე, თურმე, ლოთობდა თავის ცოლის ძმასთან (მოკლულის სიდედრის შვილთან) სედრაგ იოსების ძე პოლოსოვთან ამ უკანასკნელის საწვრილმანო დუქანში, წავკისის ქუჩაზე. დუქნიდან ორივენი ერთად გამოსულან სასეირნოდ და ალექსანდრე ერმიშევი მას უკან აღარავის უნახავს. ამ ცნობების შეკრების შემდეგ 15 იანვარს სედრაგ პოლოსოვი დააპატიმრეს და ჩვენება ჩამოართვეს. იგი დანაშაულში გულწრფელად გამოტყდა: 19 დეკემბერს, საღამოს 9½ საათზე, მედა ერმიშევი ვერის ხიდზე მივდიოდით და ჩხუბი მოგვივიდაო; ამის შემდეგ იგი ხიდიდან მტკვარში გადავაგდე, რადგანაც მისი ჯავრი მჭირდა დედა ჩემის მოკვლისთვისა და მე კი მაშინვე სახლში გავიქეციო.

✦ **სტიპენდიანტების გაჭირება.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სტიპენდიანტი-სტუდენტები, რომელთაც სტიპენდია ძმ. ზუბალაშვილების მიერ დანიშნულ ფულიდან ეძლეოდათ, ამ ჟამად დიდს გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ იანვრიდან სტიპენდია მოესპოთ. საქმე ის არის, რომ ძმ. ზუბალაშვილების ფული აღთქმული ჰქონდათ საზოგადოებისთვის მხოლოდ 1912 წლის პირველ იანვრამდე. ფული გათავდა და გაჭირვებული სტიპენდიანტები საზოგადოების მთავარ გამგეობას ეკითხებიან, სტიპენდია კვლავ მოგვეცემა თუ არაო, მაგრამ გამგეობა ვერავითარს პასუხს ვერ აძლევს, საჭიროა, გამგეობამ საქმე დროზე გამოარკვიოს და რაიმე გადაჭრილი პასუხი მისცეს სტუდენტებს.

✦ მანთაშევის მემკვიდრეებმა 10,000 მან. გადასცეს წიგნის გამომცემელ სომეხთა საზოგადოებას, თანახმად განსვენებულ ა. ი. მანთაშევის ანდერძისა.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** პირველი კრება დღეს მოხდება. კომისია საქმეებს გაიცნობს და, სხვათა შორის, ხორცის ნიხრსაც გადასინჯავს.

✦ **ქალაქის საბჭოს კომისიებში.** დარჩენილ გადასახადთა შემკრებ კომისიის თავმჯდომარედ ლ. ტიგრანოვი აირჩიეს, სახალხო ჯანმრთელობის კომისიისა—მ. ავთანდილოვი, სამეურნეო—ა. ტერტეროვი და უძრავ ქონების შეფასების გამო შეტანილ საჩივრების განმახილველისა—ს. ჭრელაშვილი.

✦ **ქალის მოკვლა.** 16 იანვარს ოჰანეს ავეტიქას ძე სარქისოვი სოფიო პოტუდანსკაიასთან მივიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, სახლში № 23 და ჩხუბი აუტეხა, რომლის დროსაც ქალი ზურგსა და გულში დასჭრა დანით. ქალი გარდაიცვალა. მკვლელი გაქცევას აპირებდა მაგრამ პოლიციელებმა დროზე შეიპყრეს.

✦ 16 იანვარს ტფილისში 64 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** დამაარსებელთა კრება 22 იანვრიდან 29 იანვრისთვის გადაიდო.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება 16 იანვარს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. ამ საღამოს ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა იყო დანიშნული. ნაცვლად თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. ამიტომ კრებას გარეშე ხალხი ბლომად დაესწრო. კრებაზე 69 ხმოსანი იყო. მოსმენილ იქმნა მ. ა. ჯაბარის განცხადება ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო—საფინანსო კომისიის დაარსების საჭიროების შესახებ, საბჭომ ასეთის კომისიის დაარსება საჭიროდ იცნო (კომისიაში 12 ხმოსანი იქმნება). ჯერი მიდგა არჩევნებზე. საბჭომ გამგეობის წევრს ჯამაგირად წელიწადში 4,000 მან. დაუნიშნა (დღემდე 3,600 მან. ჰქონდა). გამგეობის წევრობაზე ყუთი დაიდგა მხოლოდ თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, რომელმაც 39 თეთრი და 30 შავი კენჭი მიიღო. ამ რიგად გამგეობის წევრად ისევ თავ. ა. მ. არღუთინსკი აირჩიეს. დანარჩენ საკითხების განხილვა მომავალ კრებისთვის გადაიდო.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ მეთაურში შეცდომითაა დაბეჭდილი: „მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ნიშნებით მათი დახმარება ურთიერთ დახმარებაზე ჰქმნის ზედმეტ საწარმოვო ძალას“.. **უნდა იყოს**: „მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ნიშნებით მათი დახმარება ურთიერთ დახმარებაზე **შორს ვერ მიდის, იგი ვერა** ჰქმნის ზედმეტ საწარმოვო ძალას“...

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი. სათავად-აზნაურო ბანკის საგანგებო კრებამ დიდის ხმის უმეტესობით სწრაფ განსახილველად არა სცნო კრების განსახილველი საკითხები. კრება დაიხურა.

მერძეობის პირველი ამხანაგობა საქართველოში

15 იანვარს სოფ. **დიდ-ლილოში** (გარე-კახეთი, ტფილისის მაზრა) მოხდა ყრილობა ამ სოფლის მცხოვრებთა. მიზანი ამ ყრილობისა იყო გაცნობა მერძეობის ამხანაგობის წესდება-ხელშეკრულობისა და, თუ საჭიროდ სცნობდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ამხანაგობის დაარსებაც.

როგორც მოგეხსენებათ, სოფ. დიდ-ლილო მდებარეობს ქალაქის მახლობლად, სულ 18—20 ვერსის მანძილზე; დიდ-ლილოელებს უხვად აქვთ სათიბი ადგილები და მრავალს ბზე-თივას ასაღებენ ქალაქში. ჰყავთ მეწველი საქონელიც, მაგრამ რძის ქალაქში ჩატანა და გაყიდვა აზრადაც არ მოსვლიათ. მეწველ საქონელს დიდ-ლილოელები აქნობამდე ისე უცქეროდნენ, როგორც უსარგებლო საქმეს; ნამდვილად კი, თივაბზის საქონლისათვის ჭმევა და მიღებულ რძის ქალაქში ჩატანა უფრო ხელსაყრელია; ვიდრე ბზე-თივის გაყიდვა: როცა ბალახს სთიბავთ, დაცის ქვეშა სტოვებთ მიწიდან პურისა და ბალახის მიერ ამოწოვილ საზრდოს, აღარ უბრუნებთ და ყანაც ხდება, მოსავალი კლებულობს; ერთად ერთი საშუალება არის მიწის დასვენება კაი ხნობით. ამ რიგად მიწა სცდება. როცა ამ ბზე-თივას და მარცვალს აჭმევთ საქონელს, საქონელი იძლევა პატივს, რომლითაც შეიძლება ყანის განოყიერება; გასუქებული ყანა კი იძლევა უფრო მეტს მოსავალს, როგორც მარცვლისას, ისე ბზისას.

ამის გარდა ისიც გამოაშკარავა დანიის გლეხობის მეცადინეობამ, რომ საქონლის შენახვა და რძის დამუშავება უფრო სარფიაა, ვიდრე მოსავლის გარედ გაყიდვა.

სოფ. დიდ-ლილოს მახლობლად მცხოვრებლებმა გერმანელებმა და რუსებმა კაი ხანია შეიგნეს ეს უბრალო ანგარიში და მრავალს რძეს ეზიდებიან ქალაქში და კარგი სარგებლობაცა აქვთ. დიდ-ლილოელები კი მხოლოდ ეხლა ჰკიდებენ ამ სასარგებლო საქმეს ხელს.

15 იანვარს ტფილისის გუბერნიის საადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორის თავ. დ. ვ. ვაჩნაძის, ქართულ სასოფლო-სამეურნეო-საზოგადოების ქართლის აგრონომის ე. კარბელაშვილის და კოოპერაციის ინსტრუქტორის ალ. კახელაძის თანადასწრებით მოხდა ყრილობა დიდ-ლილოელებისა.

ამათ გააცნეს შეკრებილ ხალხს მერძეობის ამხანაგობის მნიშვნელობა და წესდება-ხელშეკრულება, რძის წარმოების სარფიანობა და აუხსნეს საჭიროება შეერთება-შეკავშირებისა, რათა რძის გაყიდვით უფრო მეტი სარგებლობა ნახონ.

დამსწრე ხალხი გულის ყურით მოეკიდა ამ სასარგებლო საქმეს და ამხანაგობის დაარსება გადასწყვიტეს. ამხანაგობის წევრებმა ურთიერთს შორის დასდევს ხელწერილი, რომლის ძალითაც მოვალენი არიან ამხანაგობას ჩააბარონ მთელი რძე, რომელსაც მათი ძროხა მოიწველის, იმის გამოკლებით, რაც ოჯახში დასჭირდებათ; რძე ამხანაგებმა უნდა მიიტანონ ახალი, დაუმჟავებელი და სუფთად მოწველილი. წინაალმდეგ შემთხვევაში მათ აჯარიმებენ: პირველად 5 მანეთით, მეორედ 10 მანეთით, [illegible] აჯარიმებენ ამხანაგობის წევრს, თუ მან ამხანაგობის [illegible] მედა. ამხანაგობის ბატონ-პატრონი არის წევრთა საზოგადო კრება, რომელიც ამხანაგობის საქმეების საწარმოვოდ ირჩევს გამგეობას სამი კაცისაგან: თითო მეწველ-ძროხაზე წევრი იხდის 5 მანეთს: სამოქმედო რაიონი ამხანაგობის სოფლებია: დიდი და პატარა ლილო. ამხანაგობის წევრნი პასუხს აგებენ განუსაზღვრელად, მაგრამ ჩაბარებულ რძის რაოდენობის მიხედვით. წევრებს ამხანაგობა უსწორდება თვეში ერთხელ:

ამ საფუძველზეა აგებული ეს ამხანაგობა. წევრებმა ხელი მოაწერეს ამ ხელ-შეკრულება-წესდებას და შეამოწმეს სოფლის კანცელარიაში.

მოქმედებას ამხანაგობა დაიწყებს პირველ მაისიდან, როდესაც ჩამოვა ყარაიაზიდან საქონელი. მანამდე კი აირჩია **გამგეობის სამი წევრი: სანდრო ცხვირებაშვილი, 2. სოლომონ ბაბაშვილი, 3. ილია თიღიშვილი და ორიც კანდიდატი: 1. პეტრე თინაშვილი, 2. ქიტესა გაბათაშვილი.**

ამ ხანად ამხანაგობის გამგეობამ საჭირო თადარიგი დაიჭირა:

გამგეობას წინასწარი ვარაუდით, თუ რძის სულ უკანასკნელ ფასს ვივარაუდებთ, თვითეულს წევრს თითო ძროხაზე შემოუვა თვეში 5—6 მანეთი, რაც ჩვენი გლეხისათვის არსებულ პირობებში კაი თანხაა.

გამგეობამ თხოვნა აღძრა საადგილ-მამულო კომისიის წინაშე, რომ ამხანაგობას მისცენ გრძელ-ვადიანი სესხი სარგებლით; ამ თანხით ამხანაგობა შეიძენს საჭირო იარაღს— რძის საზიდ დოქებს, ქალაქში ჩამოსატან ცხენის ურემს და სხვა. ამ სესხს თხოულობენ თავად-აზნაურობის ხელში მყოფ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან, რომლის დანიშნულებაც სწორედ ამისთანა საქმის ხელის შეწყობაა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კეთილს საქმეს, პირველს **მერძეობის** ამხანაგობას **საქართველოში** სათავად-აზნაურო საკრებულო ხელს შეუწყობს და სათავეშივე არ ჩაჰკლავს ამ პირველს ნაბიჯს ჩვენის გაჭირვებულის სოფლისას.

ე. კარბელაშვილი.

ფრიად საჭირო ვიცოდეთ

ახლად გამოსულ ჟურნალ „განათლების“ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, მეტად საყურადღებო წერილი: **„ორიოდე სიტყვა ახლად დასაბეჭდად დამზადებულს კურთხევანზე“ ბ. კეთილის მოსურნე-**

რა არის მშვენიერება?

როგორ ხასიათდება მშვენიერება როგორც ბიოლოგიური კატეგორია?

როგორც ესთეტიურ ტკბობის, ისე ხელოვნების გამოსავალ წერტილად დღეს თამაშობაა აღიარებული. უკანასკნელს ადგილი აქვს, შედარებით, საკმაოდ განვითარებულ ცხოველების ცხოვრებაში. დაბალ საფეხურებზე მდგომ ორგანიზმებმა არ იციან, თუ რა არის თამაშობა და ვარჯიშობა, მთელი მათი ენერგია საარსებო ბრძოლას უნდება. იბადებიან თუ არა, მაშინვე ბრძოლის ასპარეზზე გამოდიან და და მძიმე უღელს ეწევიან. განვითარების მაღალ საფეხურებზე საარსებო ბრძოლა მწვავდება და რთულდება, ახალგაზდა ორგანიზმი პირდაპირ ცხოვრებაში გამოსვლას ველარ ახერხებს, იგი დაუმთავრებელ რასმე წარმოადგენს, მის საომარ იარაღებს გამოწვრთნა ესაჭიროება და ამ დანიშნულებას თამაშობა ემსახურება. ამგვარად, თამაშობა დადებითი მოთხოვნილებაა, ბუნებას აქ თავისი მიზანი აქვს: თამაშობის შემწეობით ევარჯიშებთ ჩვენს განუვითარებელ ალღოს. თამაშობა ჩვენი სკოლა, სადაც ჩვენი ძალები იჭედება, ხერხი და უნარი მუშავდება, თამაშობა ჩვენი პრელიუდიაა, რეპეტიციაა, რომლის დროს ჩვენ ცხოვრების სცენაზე გამოსასვლელად ვემზადებით.

ხშირად თამაშობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მაღალ საფეხურებზე მდგომ ცხოველებს თავისუფალი დრო ბევრი აქვთ და ენერგიას მათი ორგანიზმი დრო-გამოშვებით (განსაკუთრებით ახალგაზდობის ხანაში) ნორმაზე მეტს შეიცავს. მოჭარბებული ძალა გარედ გამოსვლას ისწრაფვის, სხეული განძრევ-გამოძრევას თხოულობს, ცხოველი თამაშობს, ენერგია იხარჯება, ჩვეულებრივს დონეზე დგება, და მისი პატრონი სიამოვნებას განიცდის. როგორც ვხედავთ, სუბიექტიურად აქ ცხოველის მოქმედებას არავითარი მიზანი არა აქვს, მაგრამ ობიექტიურად ამ აქტის მეოხებით ბუნება თავის ბიოლოგიურ ტენდენციას ასრულებს. **ჩარლზ დარვინის** მიერ შემჩნეული და აღნიშნული ფაქტი სქესობრივ შერჩევისა იმას ჰმოწმობს, რომ სქესობრივ სიმწიფის დროს ჩვენს სხეულში ადგილი აქვს ზედ-მეტ ფიზიოლოგიურ ენერგიას. მამლების მხრივ, სხვათა შორის, ეს გადაჭარბებული ენერგია, ეგრედ წოდებულ მეორე ხარისხოვან სასქესო ნიშნებში გამოიხატება: მამლები ბუმბულით, ან ფაფრით, იმოსებიან, მათ ნამდვილი დეზები და კანჭები ეზრდებათ, ბევრი იმათგანი ამ ხანაში ხშირად და საამურად მღერის, და სხვა. მეორე მხრივ, დედლებს ისეთი მამლები ჰხიბლავს, რომლებიც უფრო არტისტულად მღერის, რომელიც უფრო მძლავრია, კოხტაა, ლამაზია, ერთი სიტყვით, იმათს ტანში დაგუბებული ენერგია გასავალს პოულობს, სხვათა შორის, ესთეტიურ ტკბობაში და ესთეტიურ გემოვნების გამომუშავებაში.

ყოველივე ზემო-ნათქვამიდან არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ცხოველი მხოლოდ მაშინ თამაშობდეს, როცა მის სხეულში ნორმაზე მეტი ენერგიაა თავ-მოყრილი. ვიმეორებ, თამაშობა დადებითი მოთხოვნილებაა, მას ალღოს ხასიათი აქვს, იგი მიზან-შეწონილი მოქმედებაა, მძიმე საარსებო პირობებთან შეგუების ერთი ფორმათაგანია. ზედ-მეტი ძალ-ღონე თამაშობისათვის მხოლოდ საუკეთესო მომენტს შეიცავს, ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ვის არ უნახავს, თუ როგორ იქანცებიან ძაღლის ლეკვები თამაშობის დროს, მაგრამ ცოტა ხანს შეისვენებენ თუ არა, მხოლოდ იმისთვის, რომ სული მოიბრუნონ და არა იმიტომ, რომ ახალი, ნორმაზე გადაცილებული ენერგია მოიპოვონ, კვლავ წინანდელის ხალისით და სიცოცხლით განაგრძობენ თამაშობას.

ასევე ითქმის ჩვენს პატარებზედაც. ხშირად ხანგრძლივი სიარნობით ღონე-მიხდილი ბავშვები დაღლილობას არ იმჩნევენ და პირველ შემთხვევისათანავე გულმოდგინედ თამაშობას იწყებენ.

„ფსიხოლოგიის“ მეოთხე ტომში (თავი 9) ჰერბერტ სპენსერმა ერთ საგულისხმო მოვლენაზე მიგვითითა: თამაშობის შინაარსს საარსებო ბრძოლის წარმოების სხვადასხვა ფორმის მიბაძვა შეადგენს, ცხოველები და ადამიანები ჰბაძავენ შრომის იმ სახეს, რომელიც საზოგადოებისა, მოდგმისა და ცალკე ერთეულების წარმატებისათვის აუცილებელია. მოთამაშენი იმგვარ სცენებს იმეორებენ, რასაც ადგილი აქვს საცხოვრებელ სალსარის მოპოვების დროს. ისინი ერთი-ერთმანეთზე ვითომც ნადირობენ. იკბინებიან და ღრღნიან ერთი-მეორეს, რამდენადაც ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია თამაშობაში. სხვათა შორის, საგულისხმოა რომ ცხოველები თამაშობაში ზომიერებას იცავენ და მათი ხუმრობა თითქმის არასოდეს სერიოზულ ხასიათს არა ღებულობს. „როგორც სჩანს, ძაღლის ლეკვებს და კატის კნუტებს“, ამბობს დარვინი,—„თანდატანებული ალღო უნდა ჰქონდეთ იმისა, რომ თავისი წვეტიანი კბილებითა და კლანჭებით თავისუფლად სარგებლობა მაინცა და მაინც არც შეეძლოთ... ჩემი თაგვის მჭერელი ხუმრობით ხელზედა მკბენს და ვითომც მიჯავრდება კიდეც, მაგრამ აი, იგი წრეს გადავიდა, ცოტა მაგრად მიკბინა და მეც, რასაკვირველია, შენიშვნას ვაძლევ, რომ დაწყნარდეს; იგი განაგრძობს კბენას, მაგრამ ამავე დროს კუდის ქნევას იწყებს და ამით თითქოს მანიშნებს. არაფერია, არაფერია, ეგ მხოლოდ ხუმრობა არისო“.

თამაშობაში ჩვენ ინსტიქტების იდეალურ დაკმაყოფილებას ვამჩნევთ. კატის კნუტი ათამაშებს პურის ნაჭერს, შორდება, რამოდენიმე ხანს უცქერის, მერე უცებ ახტება, პატარა კლანჭებსა სჭიდებს. ერთი სიტყვით, ისე იქცევა, თითქოს წინ ნამდვილი თაგვი ჰყავდეს. პატარა ქალიშვილები ტიკინებით ერთობიან და თავის დედობრივ ინსტიქტებს ავარჯიშებენ, პატარა ბიჭუნები „ცხენობიასა“ და „სალდათობიას“ თამაშობენ. სხვა და სხვა თამაშობათა უმეტეს ნაწილს მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მიერ გამოწვეული სიამოვნება უდევს საფუძვლად. ესეც თითქოს საარსებო ბრძოლის ერთგვარი იმიტაციაა.

განვითარების უმაღლეს საფეხურზე თამაშობის ხასიათი, მისი შინაარსი რთულდება და მკაფიოდ გამოხატულ ესთეტიურ გრძნობას იძლევა. თამაშობა აქტიურ ფუნქციების უანგარო და სუბიექტიურად უმიზნო ვარჯიშობაა. ხელოვნება და მშვენიერებით ტკბობა ფიზიკურ თამაშობიდან იმით განსხვავდება, რომ იმათში იდეალურ დაკმაყოფილებას პოულობს ადამიანის უფრო სხვა და სხვა გვარი ნიჭი და მაღალი მისწრაფებანი. სხვათა შორის, ესთეტიურ განცდის ბიოლოგიურ მიზანს ჩვენი ემოციონალური ხასიათის აღზრდა, ჩვენი ემოციონალური მიდრეკილების განვითარება და გაღრმავება შეადგენს.

8.

რა დასკვნა შეუძლიან მკითხველს საბოლოდ გამოიყვანოს ჩვენის წერილებიდან?

როგორც **ფორმალურმა** თვალსაზრისმა დაგვანახვა, ესთეტიური ტკბობა მაშინ ჩნდება, თუ მშვენიერების ობიექტის ხილვა ადამიანისაგან პირდაპირ აქტიურ მოქმედებას არ იწვევს; ამის გამო, ის ენერგია, რომელიც სხვა შემთხვევაში გარეთ უნდა გამოსულიყო, ადამიანის სხეულშივე რჩება, ფანტაზიასა, გონებასა და გრძნობაზე მოქმედობს და სიცოცხლის პოტენცია მაქსიმუმამდე აჰყავს.

ფსიხო-ფიზიოლოგიურის მხრივ ჩვენ გარეგნული და იდეური სილამაზე გავარჩიეთ. ორთავე დარგის მშვენიერებას ერთი და იგივე სარჩული უდევს, ერთი და იგივე პრინციპები ასულდგმულებს, ასე რომ შეგვიძლიან შემდეგი სახის საზოგადო ფორმულა გამოვიყვანოთ:

ყოველ-გვარი გრძნობა, რომელიც კი ძალთა ეკონომიის პრინციპს ემორჩილება, სასიამოვნოა. მშვენიერებაც სასიამოვნო გრძნობაა, მაგრამ, მაშინ, როდესაც სასიამოვნო ემოციები ჩვენი ფსიხიკის სადა, მარტივ, მდგომარეობის გამომხატველია, ესთეტიური გრძნობა მდიდარია თავისი შინაარსით, იგი ეხიბა შედარებით მეტ ნაწილს ჩვენი ორგანოებისას, ხშირად მთელ ცენტრალურ ნერვიულ სისტემას, შესაფერ გამოძახილს პოულობს მასში, განსაზღვრულ სულის-განწყობილებას იწვევს და შეგნების სხვა და სხვა ნაწილებს შორის თანხმობასა და ერთობას ამყარებს.

ორთავე დარგის მშვენიერება— ფორმალური და ასოციაციური— ორგანიულად არის შეკავშირებული ადამიანის შემოქმედების ნაყოფში, რომელსაც სახელად **ხელოვნება** ეწოდება.

ბიოლოგიურის მხრივ ხელოვნება თამაშობიდან გამომდინარეობს. **კარლ გროოსის** თეორიით, თამაშობა იგივე სამჭედლოა, სადაც ჩვენი ძალები კაჟდება და ფოლადდება, ჩვენი ხერხი—უნარი მუშავდება და ვითარდება. ესთეტიური ტკბობაც სუბიექტიურად იგივე გართობა, უმიზნო ვარჯიშობა და თამაშობაა, მაგრამ ობიექტიურად იმასაც რაციონალური სარჩული უძევს: მისის მეოხებით ჩვენი ფანტაზია იწვრთნება და მდიდრდება, ჩვენი სხვა და სხვა ემოციები ღრმავდება და ფართოვდება.

ჰერბერტ სპენსერის აზრით, თამაშობის შინაარსი, უმეტეს ნაწილად, საარსებო ბრძოლის წარმოების დარგიდან არის ნასესხები. საზოგადოებაში არსებული ცხოვრების წესები საფუძვლად ედება თამაშობას და, მაშასადამე, მშვენიერებასაც. ამგვარად, ჩვენ სოციოლოგის სამფლობელოში შევდივართ, და სილამაზე წარმოგვიდგება, როგორც **სოციოლოგიური** მოვლენა. რადგანაც უკანასკნელის განხილვა რთული საკითხია და ცალკე შრომას მოითხოვს, ამიტომ ჩემს ნარკვევში არც დამისახავს მშვენიერების სოციოლოგიური თვალსაზრისით განხილვა.

მე მაინტერესებდა აქ, უმთავრესად, სილამაზის, როგორც ასეთის, საკითხი, მაინტერესებდა მშვენიერება საზოგადოდ, არსებითად, ხოლო ჩემი წერილების შინარსში სრულებით არ შედიოდა ამა თუ იმ დროში, ამა თუ იმ ხალხში არსებულ სილამაზის მრავალნაირი ფორმა-გამოხატულებების აღნუსხვა. მოკლეთ რომ ვთქვათ, ჩემი ნარკვევის პირდაპირ მიზანს შეადგენდა მშვენიერების, როგორც განყენებულ კატეგორიის, და არა როგორც კონკრეტული მოვლენის, — გამოკვლევა და განსაზღვრა.

მიხ. ცეცხლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა: ამ წერილში ბ. კეთილის მოსურნე ქართველთათვის ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება. მას დაუთვალიერებია მოსკოვში დასაბეჭდად დამზადებული „კურთხევანი“ და მრავალი თვალსაჩინო ცვლილება აღმოუჩენია მასში შედარებით ძველ „კურთხევანთან . როგორც ვიცით, ტფილისში რამოდენიმე ხნის წინად შესდგა კომიტეტი ეგზარხოსის თავმჯდომარეობით „კურთხევანის“ შესასწორებლად, და როგორც ბ. კეთილის მოსურნეს სიტყვებიდანა სჩანს, კომიტეტი შეხებია როგორც ენას, აგრეთვე ლექსიკონსაც; ენის მხრივ კომიტეტს შეუსწორებია, თურმე, როგორც გრამატიკული ფორმები, ისე სტილი. ბ. კეთილის მოსურნეს თვის წერილში მრავალი მაგალითი მოჰყავს კომიტეტის მიერ შესწორებულ ადგილებისა, მაგ. „მოსრულნი ესე აღსრულებად სულითა წმინდითა აღავსენ“ კომიტეტს ასე შეუცვლია: „სჯულისანი სულითა წმინდითა აღავსენ“. როგორც ჰხედავთ, ცვლილება ფრიად თვალსაჩინოა.

ათასი წლის წინად ჩვენი ეროვნების დაუღალავ მუშაკთ: გიორგი მთაწმინდელმა, ექვთიმემ და სხვა წმიდა მამათ სთარგმნეს საეკლესიო წიგნები ისეთი საუცხოვო ენით და ფორმით, რომ ვინც კი მათ გულისხმიერად მოჰკიდებია, გაოცებულა იმ ძვირფას პოეტურ ადგილებით, რომელნიც მრავლად ამკობენ ჩვენს საღვთო წერილს. ჩვენი საღვთო წერილის კითხვის დროს თქვენ გიტაცებთ ძლიერი ტალღა ზეშაარსისადმი წრფელის გრძნობებით გამსჭვალვისა და ქება-დიდების შესხმისა; აქ თქვენ შემოგესმით უმანკო და ცხოვრების მიმდინარეობით გაურყვნელ სულის ღაღადისი ზეციურ მამისადმი, რაღაც უცნობი, საამური გრძნობა ეფინება თქვენს გულს და ცხოვრების ბრძოლით მოქანცულს წუთით მაინც გავიწყებთ ტანჯვით მოსილ ქვეყნიერებას.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი **დავითნი**; რამდენ ღრმა პოეტურ ადგილებს იპოვით მასში, რამდენს სურათოვან გამოხატვას აღმოაჩენთ! თქვენ ჰგრძნობთ, რომ დავითნის ბერძნულიდან მთარგმნელი თვით იყო პოეტი, მაღალი სულის პატრონი, დედა ენისა და ბერძნულის ზედ-მიწევნით მცოდნე. სულ სხვა რუსების საღვთო წერილი, რომელიც საეკლესიო სლავიანურ ენითაა თარგმნილი და ხშირად თვით რუსებისთვისაც გაუგებარია.

ერთის სიტყვით, ჩვენი საღვთო წერილის დაკვირვება მათი შესწავლა ნათლად გვიმტკიცებს, რომ მათ მთარგმნელთ ზედმიწევნით სცოდნიათ როგორც ბერძნული, ისე ქართული ენა და დიდის ნიჭითა და სამშობლოსადმი უაღრესი სიყვარულით გამსჭვალული. ბერძნულ დედნიდან ისე საუცხოვოდ უთარგმნიათ საღვთო წერილი, რომ ბევრს ქრისტიან ერს არ მოეპოვება მსგავსი რამ.

ჩვენც მოვალენი ვართ, თვალის გუგასავით ვუფრთხილდებოდეთ ჩვენს საღვთო წერილს და მის შერყვნის წინააღმდეგ მუდამ ხმას ვიმაღლებდეთ, რომ არ გასწყდეს ისედაც მილეული ძაფი, ჩვენი სამშობლოს წარსულთან შემაერთებელი, რომ ბ. ა. ხახანაშვილის სიტყვების თანახმად: „ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის“.

ბ. კეთილის მოსურნის სიტყვით, კომიტეტი „არა მარტო ამოკლებს ტექსტებს, არამედ ადგილ-ადგილ სთარგმნის ახლად სლავიანურ წიგნების „თანახმად“. მეტად განსაცვიფრებელია ამ მხრივ კომიტეტის მოქმედება; იგი უარსა ჰყოფს ბერძნულ დედანზე დამყარებულ ქართულს თარგმანს, საქართველოს ეკლესიის მიერ უძველეს დროიდან მიღებულს და, სამაგიეროდ, სლავიანურ წიგნების თანახმად სთარგმნის ზოგიერთ ადგილს! ეს მით უფრო გასაოცარია, რომ სლავიანურ ენაზე ნათარგმნი საღვთო წერილი ვერასოდეს ვერ შეედრება გიორგი მთაწმინდელისა და სხვათა მადლმოსილ მარჯვენით ნათარგმნ ქართულ საღვთო წერილს.

ფრიად საჭიროა ვიცოდეთ, თუ ამ შემთხვევაში რითი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეგზარხოსის თავმჯდომარეობით და ქართულ ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით შემდგარი კომიტეტი?

ალ. წერეთელი.

სრულიად რუსეთის მხატვართა კრება

1911 წლის მიწურულებში პეტერბურგში მოხდა სრულიად რუსეთის მხატვართა კრება. კრებაზე, სხვათა შორის, სამი მოხსენება იქმნა წარდგენილი, „**ქართულ საეკლესიო მხატვრობის**“ შესახებ. ორი მოხსენება ეკუთვნის მხატვარს **ეისნერს**, ერთი **სლოვცევს**. პირველ მოხსენებაში ეისნერმა ყურადღება მიაქცია ქართულ ძველ მონასტრების მხატვრობას. სამწუხაროა,—უთქვამს მომხსენებელს,—რომ ჩვენში ძალიან ცოტა იცნობს ქართულ მხატვრობასაო. მომხსენებელს საჭიროდ უღიარებია განსაკუთრებული სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიცია მოეწყოთ ამ მხატვრობის შესასწავლადაო.

უფრო საინტერესო ყოფილა მეორე მოხსენება: **ამიერ-კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ შინამრეწველნი**“. ამ მოხსენებაში ეისნერს ის აზრი **გაუტარებია**, რომ საჭიროა დავეხმაროთ კავკასიის შინამრეწველთაო. მოხსენების შედეგი ის იყო, რომ სექციამ ერთხმად დაადგინა: ეთხოვოს კრებას გამოსთქვას მტკიცე სურვილი, რომ მიწის მომწყობ და სამიწადმოქმედო მთავარმა სამმართველომ, ვაჭრობისა და მრეწველობისა სამინისტრომ და სხვ. მიაქციონ ყურადღება სამხრეთ-დასავლეთ ამიერ-კავკასიის შინამრეწველობას, აგრეთვე რათა ამასვე მიაქციონ ყურადღება კავკასიის საშინამრეწველო ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა განათლებულმა საზოგადოებებმა, რადგანაც სამხრეთ-დასავლეთ ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ დაცულია, მაგრამ დაღუპვის გზაზეა დამდგარი. ბევრი საინტერესო ნიმუში ადგილობრივ, სახალხო თვითარსებობის შემოქმედებისა, რასაც შეიძლება დიდი ინტერესი ჰქონოდა საერთოდ რუსულ მხატვრულ წარმოებაშიცაო.

პირველ სექციაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია **სლოვცევის** სპეციალურმა მოხსენებამ „**აღწერა ძველ ქართულ ზარზმის ტაძრისა, აბასთუმნის მახლობლად**“. მთავარი მიზანი მ-მხსენებლისა იყო, ეჩვენებინა საქართველოში მუშაობის დროს შეკრებილი მასალა, ზარზმის ტაძრის მხატვრობის ფოტოგრაფიული სურათები და ეთქვა რამდენიმე სიტყვა ამ ტაძრის აღდგენის შესახებ, რომელიც განიზრახა განსვენებულმა დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემაო.

ეგონათ, რომ ეს მხატვრობა XI—XII საუკუნეს ეკუთვნოდა, მაგრამ მოულოდნელად კრების ერთ-ერთმა მონაწილემ, ახალგაზრდა მეცნიერმა **მაცულევიჩმა** ყურადღება მიაქცია მხატვრობის თარიღს და განმარტა, რომ ის XIV საუკ.,—აღორძინების ეპოქას ეკუთვნისო. სტილით, მოყვანილობით ძალიან მოგვაგონებს ამ ეპოქასაო.

ამგვარად, ხელოვნების იტალიურ ბრწყინვალე აყვავების ფესვი თანდათან აღმოსავლეთისაკენ იწევს. ჯერ ისევ 1906 წელს ქაჰრიე-ჯამის მეჩითის მხატვრობის მიხედვით ეს ფესვი ბიზანტიას მიაკუთვნეს, შემდეგ,—ფრანგ მილლეს გამოკვლევათა წყალობით,—ტრაპიზონს ასტუმრეს, ამის შემდეგ,—კონდაკოვისა და პოკრიშკინის გამოკვლევით—ბალკანეთის სლავიანთა ქვეყნებს, ბოლოს—რუსეთს. ეხლა შეძლება გვეძლევა ამ რიცხვს მივაწეროთ კავკასიაცაო.

მოხსენებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიწვია: პირველი სექცია სლოვცევისა და ზარზმის ტაძრის აღწერის მიხედვით საჭიროდ სცნობს აღმოჩენილ იქნას წყარო, რათა დაუყოვნებლივ გამოიცეს ხსენებული მასალები.

სან-განიძე.

სოფელ ხუნზაში

მომხდარ შეტაკების შესახებ შეკითხვის გამო.

გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება სახელმწიფო სათათბიროში ნოვოზაიაზეთის პოლკის ჯარის კაცთა მიერ მცხოვრებლებზე დაცემის შესახებ შეტანილ შეკითხვას. შეკითხვაში ნათქვამია:

„ჯარის კაცმა უარი განუცხადა ნაყიდ კვერცხებისთვის ფულის მიცემაზე. ჯარის კაცები და მცხოვრებლები წაიჩხუბნენ, მაგრამ პოლიციამ იგი მალე გაახავა. ბაზარი დასცხრა. ცოტა ხნის შემდეგ პოდპრაპორჩიკის მეთაურობით ვინტოვკებით შეიარაღებული ჯარის კაცნი კვლავ დაბრუნდნენ და მცხოვრებლებს სროლა დაუწყეს. 4 მოკლეს და ხუთი დასჭრეს, მათ შორის ზოგი მძიმედ. მოკლულთა შორის ერთი ქალია. ჯარის კაცებმა ხიშტებით ცხრა დასჭრეს. მილიციის პრაპორჩიკს, რომელიც სთხოვდა სროლის შეწყვეტას, სროლის გაგრძელებით უპასუხეს. გარნიზონის უფროსი კაპიტანი ჯებრაილბეკოვი და პორუჩიკი ვასილიევი რამოდენიმე საჟენის მანძილზე იყვნენ და არავითარი ზომა არ მიიღეს სროლის შესაჩერებლად.“ დასასრულ შეკითხვის ავტორები თხოულობენ, დამნაშავენი აღმოაჩინეთ და კანონიერად მოექეცითო. ხელს აწერენ ავარელების რწმუნებულნი: იზმაილოვი და ჰუსეინ დიბიროვი.

შობის ხე ნაძალადევში.

შობის ხე და სალიტერატურო განყოფილება გამართა „ნაძალადევის“ სცენის მოყვარეთა წრის გამგეობამ და საზოგადოება „კაპეიკამ“. ამ უკანასკნელს ნაძალადევში უფასო სასადილოც აქვს გახსნილი უმუშევართათვის. ამ დღეს წარმოდგენილ იქმნა ქართულად და რუსულად საბავშვო პიესა. წაიკითხეს ლექსები ქართულად, რუსულად, სომხურად, ქართული სჭარბობდა ყველა დანარჩენს ერთად აღებულს. აღსანიშნავია აგრეთვე ბავშვების მგალობელთა გუნდი—კოტე ჩარკვიანისა. ლექსები წაიკითხეს 5—7 წლის პაწაწა ბავშვებმაც. ბოლოს ღარიბებს ბავშვებს დაურიგეს ტკბილეულება და წიგნაკები.

გადაკეთებულ ნაძალადევის თეატრის კურთხევა განზრახულია 29 იანვრისათვის. მოწვეულნი იქნებიან საპატიო პირნი და წევრნი ზემოხსენებულ წრისა.

ერმოლოზ კახი.

კალენდარი

ყველა მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ დროს გამოსაანგარიშებელ ერთეულად მთელ განათლებულ ქვეყნებში ითვლება წამი, ე. ი. ნაწვერი $\frac{1}{24 \times 3600}$ მზიან დღის. მიუხედავად ამ საერთო ერთეულისა, დღეს ჩვენ კიდევ ვპოულობთ რამოდენიმე კალენდარს, რომელთა შორის დიდი განსხვავება არსებობს; ლოგიკურად კი, თუ დროს გამოსაანგარიშებელ ერთეული საერთოა, მაშინ კალენდარიც საერთო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ არის. ამ წერილით გვინდა გავაცნოთ მკითხველთ დღემდის არსებული ოთხი კალენდარი და დავანახოთ მათ შორის განსხვავება.

მთელ დასავლეთ ევროპაში, თითქმის მთელ საქრისტიანო ქვეყნებში, დროს ჰზომავენ გრიგორიანის კალენდრით, ანუ ახალის წელთაღრიცხვით. ეს კალენდარი შედარებით ახალია და მისი შემოღება ეკუთნის 1582 წელს; ამ კალენდარის შემოღებამდე მთელ საქრისტიანო ქვეყნებში ხმარობდნენ იულიანის კალენდარს. იულიანის კალენდარით წელიწადს აქვს 365 დღე და ერთი მეოთხედი; ნამდვილად კი ჩვენ ვიცით, რომ წელიწადს აქვს 365 დღე, 5 საათი, 48 წუთი და 46 წამი. პირველი შეხედვით, სულ ცოტა განსხვავება არსებობს ამ ციფრთა შორის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ 128 წლის განმავლობაში, ეს პატარა განსხვავება შეადგენს ერთ დღეს; მაშასადამე, იულიანის კალენდრით, სამოქალაქო წელიწადი ძლიერ დიდი იყო, „მზის წელიწადი“-ის უკან რჩებოდა მუდამ. ასე რომ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოში იულიანის კალენდარით წელიწადი იგვიანებდა ათი დღით; აი, სწორედ ამ შეცდომის გასასწორებლად, **რომის პაპმა გრიგორი** მეცამეტემ ბრძანება გამოსცა, რომ მომავალი დღე ხუთშაბათისთვის (4 ოქტომბერი 1582 წლისა) ეწოდებინათ პარასკევი 15 ოქტომბერი იმავე წლისა; ამ ათი დღის შესწორების შემდეგ განაგრძეს თითო დღის ჩამატება ყოველ ოთხ წელიწადში, რაც უკვე არსებობდა იულიანის კალენდარშიაც, და აი, ასე შეადგინეს ნაკიანი წელიწადი; მაგრამ ამავე დროს ისეც გამოანგარიშებულია რომ, ეს ნაკიანი წელიწადი ოთხასი წლის განმავლობაში იგვიანებს სამი დღით, მაშასადამე, საჭირო იყო ამ ოთხასი წლის განმავლობაში არ ჩაემატებინა სამი დღე; ამისთვის დაადგინეს, რომ ყოველ სამ საუკუნის შემდეგ მეოთხე საუკუნის წელი იქნება ნაკიანი. 1600 წელიწადი იყო ნაკიანი, როგორც იულიანის, ისე გრიგორიანის კალენდარში, მაგრამ ამავე დროს გრიგორიანის კალენდარი ათი დღით წინ იყო პირველ მარტამდე 1700 წლისა; თერთმეტი დღით პირველ მარტამდე 1800 წლისა და თორმეტი დღით პირველ მარტამდე 1900 წლისა. ეხლა კი ჩვენ ვიცით, რომ **ახალ წელთ აღრიცხვა ცამეტი დღით არის წინ**, ვიდრე იულიანის კალენდარი. 1582 წლიდან იულიანის კალენდარი ანუ ძველი სტილი, უარჰყო მთელ დასავლეთ ევროპამ; დღეს ამ კალენდარს ხმარობენ მხოლოდ რუსები, ბერძნები, ერთის სიტყვით, მართლმადიდებელნი. ეს კალენდარი ოდნავ შეცვლილი რომაელთა კალენდარია, რომლის შედგენას აწერენ იულიოს კეისარს.

მუსულმანების კალენდარით დროს გამოანგარიშება იწყება 16 ივლისიდან 622 წლის ქრისტეს დაბადების შემდეგ. იმათს თვეს აქვს 29 ანუ 30 დღე, როგორც მთვარესაც; წელიწადს კი მუდამ თორმეტი თვე აქვს, რომელიც წარმოადგენს 354 ან 355 დღეს; აქედან კი მუსულმანებს „მთვარის წელიწადი“ ერთი წლიდან მეორეში 10 ან 11 დღით უფრო ადრე იწყება, ვიდრე „მზის წელიწადი“. აი, ამ მიზეზიდან გამომდინარეობს ის მოვლენა, რომ „მთვარის კალენდარი“ არ შეესაბამება წლის სეზონებად გაყოფას და ხშირად ვხედავთ, რომ მათი სარწმუნოებრივი უქმეები „რომადინი“-ს თვის, ე. ი. მუსულმანთა დიდ-მარხვა, ხან შემოდგომაზეა, ხან ზამთარში, ხან გაზაფხულზე. ბოლოს ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მათი დღე იწყება ყოველ თვის წინადღის მზის ჩასვლიდან.

ჩინელების კალენდარით წელიწადს აქვს თორმეტი „მთვარის თვე“ ანუ თვე; მაგრამ ხანდახან მეცამეტე თვესაც ჩაუმატებენ ხოლმე, რომ მთვარისა და მზის მოძრაობა დაუპირდაპირონ ერთიმეორეს. უბრალო წელიწადს აქვს 354 ან 355 დღე, სრულს ანუ ცამეტ თვიან წელიწადს კი 385 ან 384 დღე. აქ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ მოვლენას, რომ ჩინელები უძველესი ხალხია და მასთან მათშორის ძლიერ გავრცელებული იყო ვარსკვლავთ მრიცხველობა, მიუხედავად ამისა მათ კალენდარს წინ უძღვის ძლიერ რთული ასტრონომიური და მათემატიკური წარმოდგენა. იმათის კალენდრით წელიწადი იწყება იმ თვით, რომლის განმავლობაში მზე შედის „თევზი“-ის ზოდიაკურ ნიშანში, რომელიც პეკინის მერიდიანი, სთვის ხდება 20 იანვრიდან 19 თებერვლამდე. პრაქტიკულ ცხოვრებაში კი წელიწადს იმ დღიდან სთვლიან, რა დღესაც მათი მეფე ტახტზე ავიდა; რასაკვირველია, ამნაირ ანგარიშსაც ბოლო მოეღება, ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრების შეცვლასთან ერთად; რაც შეეხება თვეს ანუ „მთავრის თვეს“ მათ კერძო სახელები როდი აქვთ, ერთი მეორისგან მხოლოდ ციფრებით განირჩევა, მაგალითად, 20 იანვრიდან 19 თებერვლამდე ჩინელები დაუძახებენ პირველ თვეს, 20 თებერვლიდან 19 მარტამდე მეორეს და სხვა. ზოგიერთ მათგანს ეძახიან პატარას, ე. ი. თუ თვეს 29 დღე აქვს და ზოგიერთს კი დიდს—თუ მას 30 დღე აქვს. მათი დღე იწყება ღამეს და იყოფა თორმეტ თანასწორ ნაწილად; ჩინელები არც დღეებს უწოდებენ კერძო სახელებს, მათაც ციფრებით არჩევენ ერთი მეორისაგან. მაგალითად, პირველი დღე პირველი თვისა, მეორე დღე პირველი თვისა და სხვა. ამავე დროს, ჩინელებს აქვთ გამოანგარიშებული ნამდვილი მოძრაობა მზისა და მთვარის 1624 წლიდან 2021 წლამდე, რომელიც პეკინის მათემატიკურმა ტრიბუნალმა შეიმუშავა; სწორედ ყოველწლის დასაწყისში ამ გამოანგარიშებას წარუდგენენ მეფეს, რომელიც მომავალ წლის კალენდარს სავალდებულოდ აქვეყნებს სრულიად ჩინეთისთვის.*) მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამა თუ იმ ხალხის დროს წელთა აღრიცხვიდანაც შეგვიძლიან მათი შემოქმედებაც დავაფასოთ.

ე. ალშიბაია.

გურცევის ახალი გამომჟღავნება

როგორც გაზეთი „გოლოს მოსკვი“ სწერს, საზღვარ-გარეთის რევოლიუციონერების წრეებში დიდი კამათი ყოფილა იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ბოგროვი: დამცველ პოლიციის თანამშრომელი თუ ნამდვილი რევოლიუციონერი?

გაზეთს მოჰყავს ბურცევის აზრი: „როგორც სტოლიპინის მოკვლის საქმეში, ისე ყველა იმ საქმეებში, რომლებშიაც აზეფი იღებდა მონაწილეობას, მთავრობის წარმომადგენლებმა არა ჩვეულებრივი დანაშაულობა ჩაიდინეს; იგი დაწვრილებით გამომჟღავნებული იქნება და რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფართო წრეებისთვის ყოველივე ცხადი გახდებაო“.

„ბუდუშჩეე“-ს უკანასკნელ ნომერში ბურცევი საზღვარ-გარეთელ მკითხველის წერილს ათავსებს, რომელშიაც იგი ეხება იმ ხმებს, რომლების ძალით სტოლიპინის მოკვლის მიზეზი ადგილობრივ დამცველთა დაუდევრობა კი არ იყო, არამედ შეგნებული ხელის მომართვა. ბაგროვს **ორასი ათასი მანეთიც** კი უნდა მიეღოო. ამ საქმისათვის ავტორს მოჰყავს წერილის შინაარსიო,— სწერს „გოლოს მოსკვი“: „თქვენ, როგორც ყველამ, უეჭველია, შეამჩნიეთ, რომ ბოგროვი სროლის შემდეგ კი არ გაიქცა, არამედ ცოტა ხნის შემდეგ, რამაც დაღუპა იგიო. ეხლა ეს დაყოვნება უკვე გამოარკვიეს. თურმე, ბოგროვს შეჰპირდნენ, სროლის შემდეგ სინათლეს ჩავაქრობთ თეატრში და შენ მიაშურე იმ გასასვლელს, სადაც პოლიციელნი არ სდგანან, იქ სამხედრო პირის ქუდი და შინელი დაგხვდებაო. გარედ კი, თურმე, ავტომობილი ელოდებოდა. მაგრამ მუშა-მექანიკოს „ოხრანნიკოსთვის“ ნება არ მიეცა ელექტრონის ჩაქრობისა და ბოგროვმაც მის ცდაში ტყუილად დაჰკარგა საუკეთესო დროო; როდესაც მან გაქცევა დააპირა დამსწრე საზოგადოება უკვე გამოერკვა და ბოგროვმაც თავს ველარ უშველაო.

იაპონური ზღაპრები

რიქი-ბაქა

ლაფკადიო ჰიორნისა.

იმას სახელად რიქი, ანუ ძალა ერქვა. მაგრამ რიქი-რეგვენს, რიქი-სულელს „რიქი-ბაქას“ ეძახდნენ, რადგანაც გონებით ის ისევ ბავში იყო. ამიტომაც ის ყველას უყვარდა. მაშინაც კი არ გაუჯავრდნენ, როცა ერთხელ ანთებული წუმწუმა ჩააგდო ბადეში, რომლითაც ნევსი-პარიებისაგან იცავენ ხოლმე თავსა, მთელ სახლს ცეცხლი წაუკიდა და ალი რომ ავარდა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. თექვსმეტი წლისა ის ტანად კარგი წარმოსადეგი, ღონიერი იყო, ჭკვით კი ორი წლის ბავშვს მოგაგონებდათ. მეზობლის ბავშვები, ვინც ოთხი წლისაზე მეტი იყო, იმასთან საქმეს არ იჭერდნენ, რადგანაც რიქიმ მათი ვერც სიმღერა შეისწავლა, ვერც თამაშობა. იმისი საყვარელი სათამაშო ცოცხის ტარი იყო. ვითომც ცხენიაო, გადააჯდებოდა ზედა და მთელი საათი აქენებდა და ჩააჭენებდა გვერდობზე ჩემი სახლის ახლოს. თან სიხარულითა ყვიროდა. ბოლოს ყვირილით თავი მომაბეზრა და ვუთხარი, სათამაშოდ სხვა ადგილი ამოერჩია. რიქიმ მორჩილებით დამიქნია თავი და თავისი ჯოხის თრევით წავიდა დაღვრემილი. ის მშვიდი, უწყინარი იყო. ოღონდ კი ცეცხლი არ ჩავარდნოდა ხელში და სხვაფრივ იშვიათად აძლევდა ვისმე საბაბს იმისთვის ეჩივლათ. ჩვენი ქუჩის ცხოვრებაში მას ძაღლზე ან მამალზე მეტი ადგილი არ ეჭირა. ამიტომ როცა ის ერთხელ უცებ გაჰქრა, არც კი შემიმჩნევია, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მომაგონდა რიქი.

— სად არის რიქი, რა მოუვიდა? ვკითხე მოხუც მჭრეხავს, რომელიც მთელს ჩვენს უბანს უზიდავდა შეშასა. მომაგონდა, რომ რიქი მას ხშირადა შველოდა ხოლმე.

— რიქი-ბაქა? მომიგო მოხუცმა.— ეჰ, რიქი, საწყალი, მოკვდა!.. დიახ, მოკვდა ამ ერთი წლის წინად, სრულიად მოულოდნელად. ექიმები ამბობდნენ—თავში ცოტა რიგზე ვერა ჰქონდაო. ეხლა კი უცნაურს ამბებსა ლაპარაკობენ იმაზე.

რომ მოკვდა დედამ მარცხენა ჩელის გულზე იმისი სახელი დააწერა „რიქი-ბაქა“, „რიქი“ ჩინურად, „ბაქა“ კი „ქანას“*) ასოებითა. თან გულმხურვალედ შესთხოვა ღმერთსა იმისი რიქი უფრო ბედნიერი ცხოვრებისათვის წარმოშობილიყო. და აი, ამ სამი თვის წინად ნანილაში—სამას დიდებულ ადგილ-სამყოფელოში, ქოჯიმაჩიში, დაიბადა ბავშვი, მარცხენა ხელის გულზე ნათლად ეტყობოდა წარწერა „რიქი-ბაქა.“ ბავშვის მშობელ-ნათესავები მიხვდნენ, რომ ეს ვისიმე ლოცვით იყო. იწყეს ძიება. ბოლოს კვალსაც მიაგნეს. ერთმა მეშწვანილემ უამბო მათ, რომ უშილომეს ოლქში სცხოვრობდა ერთი გამოსულელებული ბიჭი, სახელად რიქი-ბაქა. წარსულს შემოდგომაზე მოკვდაო. გაგზავნეს მოსამსახურენი რიქი-ბაქას დედის მოსაძებნად.

მოსამსახურეებმა იპოვნეს რიქი-ბაქას დედა [illegible]. დედას ძალიან გაუხარდა ეს ამბავი, რადგანაც ნანილაშის ოჯახი მდიდარსა და წარჩინებულს გვარეულობას ეკუთვნოდა. მოსამსახურეებმა მას ისიც უთხრეს, რომ ნანილაშის ოჯახობა ძალიან აღელვებულია იმით, რომ ბავშვს მარცხენა ხელის გულზე „ბაქა“ აწერიაო.

— სად დაასაფლავეთ თქვენი რიქი? ჰკითხეს მოსამსახურეებმა.

— ზენდოჯის სასაფლაოზე, მიუგო დედამ.

— თუ ღმერთი გრწამს იმის საფლავიდან ცოტაოდენი მიწა მოგვეცი, სთხოვეს მასა.

რიქის დედა მათთან ერთად წავიდა ზენდოჯის ტაძრისკენ და თავისი შვილის საფლავი აჩვენა. მათ ერთი მუჭა მიწა აიღეს ამ საფლავიდან და ფუროშიქიში გამოახვიეს... დედას ცოტაოდენი ფული აჩუქეს—ათი იენი...

*

— რათ უნდოდათ მერე მიწა რომ წამოიღეს? ვკითხე მე.

— წარმოიდგინეთ, მომიგო მოხუცმა, მშობლებს არ უნდოდათ, რომ ბავშვი გაზრდილიყო და ის წარწერა ისე ჰქონოდა. ამისთანა წარწერის წაშლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ იმ ადგილს, სადაც წარწერაა, დაუზილავთ იმის საფლავის მიწით, ვის სიცოცხლეც ახლად დაბადებულში გადავიდა...

სან-განი-ძე.

ინგლისელი სტუმრები რუსეთში

(დეპეშები)

პეტერბურგი. ინგლისელი დელეგატების პატივსაცემად გამართულ სადილზე როძიენკომ სთქვა: „რუსები აფასებენ ინგლისის მოქალაქეში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, მეფისა და საკანონმდებლო დაწესებულებათა ერთგულებას, ეროვნულ ტრადიციათა დაცვას, სახალხო კეთილდღეობის აყვავებისთვის შეუწყვეტელ ზრუნვას და შრომაში თანდაყოლილ მტკიცე ხასიათსა, რუსების კეთილ-განწყობილების ინგლისელთადმი ერთ-ერთ საფუძველს შეადგენს ღრმა მორწმუნეობა ორივე ეროვნებისა. როძიენკო კითხულობს არხანგელის ქალაქის თავის წერილს ინგლისელთა მისალმებისას. და სადღეგრძელოსა სვამს და ახლოვებისას და სტუმრების დღეგრძელობისას.

ოუერდელი. მადლობას უხდის და თავის მხრივ სურვილს გამოსთქვამს, რათა რუსეთსა და ინგლის შორის კეთილგანწყობილება მტკიცე და ხანგრძლივი იყოს.

ბალიშოვი. ელჩის სადღეგრძელოს სვამს, რომელიც ხელს უწყობს ორი ეროვნების დაახლოვებასო.

ბიუკონენი. სათათბიროს თავჯდომარისა, ბალაშოვისა და პალატის წევრების სადღეგრძელოსა ჰსვამს.

გენერალი რერბერგი ინგლისის ჯარის სადღეგრძელოსა სვამს.

კოვალევსკი. იხსენიებს გლადსტონს რუსეთ-ინგლისის დაახლოვების იდეის პიონერს; იგი მთელი ინგლისის ხალხის სადღეგრძელოსა ჰსვამს.

მილიუკოვი აღნიშნავს: ორი ეროვნების შემაერთებელი მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობაა და პარლამენტის და პარლამენტარულ დარბაზობის აყვავების სადღეგრძელოს სვამს.

ინგლისელმა სტუმრებმა დაათვალიერეს სახალხო სამკითხველო, იმპერატორ ალექსანდრე მესამის მუზეუმი და ზამთრის სასახლე, სადაც მათ მასზე გაუმართეს.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

მუკდენი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე და პროგრესისტთა საზოგადოების ორი წევრი მოჰკლეს. მკვლელობას პოლიტიკური სარჩული აქვს. ყოველ ღამე სიკვდილით სჯიან ყველას, ვიზედაც კი ეჭვს შეიტანენ, რევოლუციონერებს ეკუთვნისო.

---

*) საკითხის განსავითარებლად იხილეთ: 1) ფლამარიონის ასტრონომია. 2) სალანიკის ასტრონომია.

*) იაპონური ანბანია. ეს უფრო მდაბიო და ადვილია ჩინურზე.

ს—გ.

პეკინი. იუანშიკაის კიდევ უბრძანეს, უეჭველად მიიღოს მარკიზის ხარისხი.

ჩიფუ. მდგომარეობა გამწვავებულია. ქუჩაში 500 ახლად გაწვეული ჯარის-კაცი დადიოდა, რის გამო დუქნები დაკეტილი იყო. 100 პოლიციელი გაიქცა და თოფებიც გაიტაცა. შანჰაიდან სამხედრო სურსათის გამოგზავნას მოელიან.

გაზეთებიდან.

მეფის გადადგომის საკითხი.

ოფიციოზი „ვეიძინჯიბაო" გადმოგვცემს, უკანასკნელ სხდომაზე, როდესაც საბოლოოდ გამოირკვა მეფის გადადგომის აუცილებლობა, მონგოლთა ბატონიშვილებისა და მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს: ვთხოვოთ იმპერატორსა და დედოფალს, იმპერიის რეზიდენცია მონგოლეთში გადაიტანონ და მონგოლეთის იმპერატორად გამოაცხადოს თავიო.

დღეს „ჩუენბაო" იუწყება, მეფის გადადგომის ამბავს ორის ბრძანებით გამოაცხადებენო. პირველი ბრძანება შეეხება იუანშიკაისა და სუნიათზენს, რომელთაც დროებით მთავრობის მოწყობას მიანდობენ, მეორე კი თიანძინის დედაქალაქად გამოცხადებას. პეკინი მეფის გვარეულობის კერძო საკუთრებად ჩაითვლება.

იუანშიკაის ქვრივ დედოფალთან ულაპარაკნია. დედოფალს უთქვამს. დინასტიის გადასარჩენად ერთი საშუალებაღა დაგვრჩენიაო. უეჭველად ბრძოლა უნდა განვაახლოთო.

გენერალი თელიანი.

პეკინში ხმა დავარდა, თუ იუანშიკაი მართლა დაითხოვეს, ჯარის უფროსად გენერალ თელიანს დანიშნავენო. იგი 1900 წელს აჯანყებულ ჩინელების ბელადად იყო.

თელიანი, თურმე, ურჩევს სამეფო გვარეულობას, არამც, და არამც ტახტზე ხელი არ აიღოთო. თუ საჭირო იქნება, იუანშიკაი მოაკვლევინეთ, რადგან მისი სახელი ძალიან განთქმულია და დიდი გავლენაც აქვსო.

რესპუბლიკელები მოითხოვენ ზავის შეწყვეტას. თუ ორშაბათამდის რევოლუციონერები და მთავრობა ვერ შეთანხმდნენ, რევოლუციონერთა ჯარი ჩრდილოეთზე გაილაშქრებს.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ქოი. კია[illegible]-აბადთან 5 იანვარს რუსის ჯარის მზვერავებს ქურთებმა სროლა აუტეხეს. რაზმმაც უპასუხა და ორი ქურთი მოჰკლა. 8 იანვარს, იმავე გზაზე, ურმიასთან, ქურთებმა რუსთა რაზმს მეორედ აუტეხეს სროლა! რუსები არ დაზარალებულან, ქურთებში კი სამია მოკლული. ურმიის მიდამოებში შეიარაღებულ ქურთთა და სომეხთა რაზმები ჩაიარიკ-ყალასა და მავანს შუა მიდიმოდიან.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

ხოდეიდა. იტალიის კრეისერის „პიემონტეს" ნავმა თეთრი დროშა ააფრიალა. და რასელკატიბთან დაატყვევა ინგლისიის დროშის მფარველობის ქვეშ მიმავალი მოტორიანი ნავი.

ტრიპოლი 14 იანვარს ოსმალებმა გარგარეშზე იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ. იმ დღეს 3000 ოსმალი მოულოდნელად დაეცა იტალიელებს, მაგრამ იტალიელებმა ხშირი სროლა აუტეხეს, გააქციეს, მაგრამ ზარბაზნის სროლა დიდ ხანს არ შეუწყვეტიათ. იტალიებს ორი კაცი მოუკლეს რვა დაუჭრეს. ოსმალნი ძალიან დაზარალდნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

16 იანვარი.

ათინა. მსოფლიოს პატრიარქისა და ბულგარეთის კონსულის ურთიერთის დარბაზობამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძენთა წრეებში, აგრეთვე მაკედონიის ბოლგარეების წრეებში. ამ შემთხვევას ბერძენ-ბოლგარელთა უთანხმოების დასრულებად სთვლიან.

ვენა. ექიმთა საერთაშორისო კრების კრაკოვის პოლონელთა კომიტეტმა დაადგინა, პოლონელმა ექიმებმა მონაწილეობა არ მიიღონ პეტერბურგის საჰიგიენო გამოფენაში.

ბერლინი. გერმანიის საეროვნო დაცვის კავშირის კრებაზე სამსახურ გარეშე მყოფი გენერალი (?) ომის სიახლოვეს ამტკიცებდა და დაჟინებით მოითხოვდა, გამოვარკვიოთ, არის თუ არა გერმანია ომისთვის მზადაო.

პორტუგალიის მისია უარსა ჰყოფს, ვითომც პორტუგალია გერმანიას ანგოლას კალონიას უთმობდეს.

ბუდაპეშტი. პალატა. გრაფმა ანდრაშიმ სიტყვა წარმოსთქვა და სამხედრო რეფორმის საჭიროება აღიარა. მან განაცხადა, ჯერ სამხედრო რეფორმა და შემდეგ—რეფორმა საარჩევნო სისტემისაო. ფინანსთა მინისტრმა ლუკაჩმა განაცხადა, „საარჩევნო რეფორმის შემცვლელ კანონპროექტის შემოტანა ამჟამად შეუძლებელიაო. პალატის უმრავლესობა თანახმაა ოპოზიციას შეუთანხმდეს, მაგრამ არც ბრძოლას მოერიდება: თუ საქმე გაჭირდა, შე[illegible]ლება ხალხსაც დავეკითხოთ.

ვენა. „ცაიტი" იუწყება, ერენტალი სამსახურიდან გადადგა. „რაიხპოსტის" საღამოს გამოცემა უარჰყოფს „ცაიტის" ცნობას, თუმცა დასძენს, ერენტალი ისე ავად არის, რომ შესაძლებელია მართლაც გადადგესო.

სტამბოლი. იტშიბის მიდამოებში 15 ყუმბარა იპოვნეს. სამხედრო სასამართლომ 8 კაცს სიკვდილი მიუსაჯა.

რუსეთი.

ოდესა. საბირჟო კომიტეტმა დაადგინა პეტერბურგში დეპუტაცია გაგზავნოს ოდესაში უმაღლეს საკომერციო ინსტიტუტის დაარსების საშუამდგომლოდ.

მოსკოვი. ბორხარდტის მაღაზიის ბუჰგალტერმა 26,000 მანეთი მიითვისა და ბოროტ-მოქმედების დასაფარად მაღაზიას ცეცხლი გაუჩინა.

რუსეთი

ეპ. გერმოგენის სინოდიდან გაძევება.

ზამთრის სინოდის სესიაში მონაწილე პირთა გამოქვეყნებულ სიაში ეპისკოპოსი გერმოგენიც ერია. გამოირკვა, რომ საბლემს აზრადაც არა ჰქონია გერმოგენის მოწვევა, მაგრამ, ეპისკოპოსი მახლობელთა ძეცადინეობით იგი სიაში მოუქცევიათ.

სინოდში ეპისკოპოსი გერმოგენი, —თურმე, ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლიდა: ყოველი საკითხის შესახებ თვის განსაკუთრებულ აზრს უდგენდა. როდესაც სინოდმა უარი უთხრა ბერ-მონაზონს ილიოდორეს გაზეთის გამოცემის ნებართვაზე და მისი მოქმედების შესახებ გამოძიების მოხდენას ეპირებოდა, ამის წინაამდეგ ეპისკოპოსმა გერმოგენმა გაილაშქრა.

შობის დღესასწაულების წინად ეპისკოპოსმა გერმოგენმა ობერ-პროკურორს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც იგი მკაცრად ჰგმობდა უწმინდეს სინოდის მოქმედებას.

ცნობათა შემკრეფი ბიურო კი ირწმუნებოდა, ეპისკოპოს გერმოგენის სინოდიდან გაძევება მემარცხენე გაზეთების მიერ შეთხუზული ჭორიაო. ამას წინად ერთი გაზეთიც კი დააჯარიმეს, რომელმაც წერილი მოათავსა ამ სათაურით: ეპისკოპოსის ცრემლები".

ეპისკოპოს გერმოგენის სინოდიდან გაძევების მიზეზი, ხსენებულ მოქმედებათა გარდა, ისიც ყოფილა რომ მან ხელმწიფეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის უმაღლეს დაწესებულებაზე საჩივარი წარუდგინა.

ამ დეპეშამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ობერ-პროკურორზე და მან გადასწყვიტა პასუხი გაეცა „მებრძოლ" ეპისკოპოსისათვის.

მართლაც 3 იანვარს სარატოვის ეპისკოპოსი გერმოგენი სინოდიდან გააძევეს.

მესამე სათათბიროს დათხოვნის საკითხი.

თავრიდის სასახლეში ხმებია, რომ მესამე სათათბიროს ბიუჯეტისა და რამოდენიმე კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ სააღდგომოდ ხანგრძლივ დაითხოვენ. მესამე სათათბირო უკანასკნელად მაისში შეიკრიბება და მაისის დამლევს კი სამუდამოდ დაითხოვენ. სექტემბერში მოხდება არჩევნები მეოთხე სათათბიროსი, რომლის სხდომები ნოემბრიდან დაიწყება.

შემოწირულობა

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას" შემოსწირეს:

1. ქ-ნმა ანნა გრიგოლის ასულმა **კაპანაძისამ:** ა) სამკლავე სპილენძისა ოქროს ზარნიშით, ბ) ქამარი ოქრო-მკედისა ვერცხლის აბზინდით, გ) ირაკლი 2-ის შავი ფული.

2. თავადის იორამ **თარხნიშვილის ასულმა** თებრონიამ: ა) ვეფხისტყაოსანი ლურჯ ქაღალდზე გადაწერილი, ბ) ძველი ნაბეჭდი საგალობელი და სამოციქულო, გ) ხუცური ნაბეჭდი კონდაკი, დ) ორი სპილენძის ჯვარი, ე) ნაბეჭდი ქართულ-ოსური ლოცვანი.

3. კნეინა მარიამ გიორგის ასულმა **თარხნიშვილისამ:** ა) ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი, მის მიერვე გადაწერილი 1869 წელს, ბ) ქართულ-რუსული ნაბეჭდი სახარება, გ) მხედრული ნაბეჭდი ლოცვანი 1826 წლისა, დ) მხედრული ხელნაწერი—მოთხრობანი იესო ქრისტეზე, ე) ანბანთ ქება—მხედრული ხელნაწერი.

4. ქ-ნმა თინათინ (ცაცა) დავითის ასულმა **კეზელისამ:** ა) ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი მე-17 საუკუნისა (ნაკლული).

5. ქ-ნმა მაგდანა ზურაბის ასულმა **იმედაშვილისამ:** ა) ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერი ნაწყვეტი, ბ) ბარამ-გულიჯანიანი (ხელნაწერი), გ) ცხოვრება ალექსი ღვთის კაცისა (ხელნაწერი).

6. ქ-ნმა სოფიო ზაქარიას ასულმა **ფირალოვისამ:** ა) ხელნაწერი—აბესალომ და ეთერის ამბავი, ბ) კითხვა ღვთისმშობელისა კაცისა სულისათვის, გ) აპოკრითული მოთხრობანი (ხელნაწერი).

7. ქ-ნმა ელისაბედ ივანეს ასულმა **ბარისოვისამ:** ა) ოცდა ოთხი სიგელ-გუჯარი და ბ) მძივით ნაქსოვი ქისა.

8. ქ-ნმა ბარბარე იოსების ასულმა **ოქრუაშვილმა:** ა) ორი შავი რუსული ფული მე-18 საუკუნისა და ბ) ერთი მედალი.

9. ევა სოლომონის ასულმა **მალალაშვილისამ**—ხელნაწერი მოთხრობა (თავი აკლია).

10. თავადის ლევან **თარხნიშვილის ასულმა** ელენემ—ძველი ვერცხლის ჩოფი (უმარილისა და ინა-ბასმის საწყავი).

11. ქ-ნმა მაგდანა დავითის ასულმა **ქულუევისამ**—ორი ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავი.

12. ქ-ნმა მარიამ მალაქიას ასულმა **ნაცვლიშვილისამ** — ერთი თეთრი და ორი შავი ძველი ფული.

13. ქ-ნმა მელანია თევდორეს ასულმა **ხუციშვილისამ:** ა) მღვდლის ოლარის ნაჭერი, სირმით ნაკერი; ბ) ტობ-ბაბთები (ქალების წინდების შესაკრავი) აბრეშუმის ძაფით ნაკერი მაუდზედ; გ) ვერცხლის თმის გასაყოფი.

14. ქ-ნმა პელაგია ივანეს ასულმა **ამილბარაშვილისამ:** ა) სპილენძის სამ-კარიანი ხატი, ბ) მხედრული ხელნაწერი „დაუჯდომელი".

15. ქ-ნმა ელისაბედ გიგოს ასულმა **გოგობერიძისამ:** ქართული ორი აბაზიანი.

16. **კნეინა** ივლიტა დიმიტრის ასულმა **თარხნიშვილისამ** ვერცხლის საბურნუთე.

17. ქ-ნმა ელისაბედ გრიგოლის ასულმა **მამალოვისამ**—ძველი ხის კულა.

18. ქ-ნმა ეფემია მათეს ასულმა **ბატკუაშვილისამ**—ძველი ხელის ყუთი.

19. ქ-ნმა სოფიო თევდორეს ასულმა **დავითაშვილისამ** ოქრო-მკედით ნაკერი თავსაკრავი.

20. ქ-ნმა მარიამ გეორქას ასულმა **მამალოვისამ**—ერთი თათრული სპილენძის ფული.

21. ვარინკა მოსეს ასულმა **გოზალოვისამ**—შავი ჩინური ფული.

22. ქ-ნმა ანნა გიორგის ასულმა **გულისაშვილისამ**—პატარა ვერცხლის ხატი.

23. ქ-ნმა ოლა ალექსის ასულმა **გულისაშვილისამ**—სპილენძის მედალიონი.

24. ქ-ნმა მარიამ ივანეს ასულმა **არაქელაშვილისამ**—შავი სპარსული ფული.

25. ქ-ნმა ნუშა იოსების ასულმა **გოჩიტაშვილისამ**—სპილენძის ეტონი.

26. ქ-ნმა მარიამ იოსების ასულმა **კაპანაძისამ**—1 ვერცხლისა და 1 სპილენძის ფული ინგლისის დედოფლის ვიქტორიასი.

27. ქ-ნმა ელისაბედ ანდრიას ასულმა **გულისაშვილისამ**—ერთი ვერცხლის ფული.

28. ბ-ნმა ანტონ დავითის ძემ **თაბუაშვილმა** (ოსმა)—ძველებური ხმალი.

29. ზაქარია ნიკოლოზის ძემ **მალალაშვილმა**—ორი ტყავისა და ერთი ქაღალდის სიგელი.

30. ვასილ ილიას ძემ **აბულაძემ**—სამი შავი ფული.

31. სიკო ოჰანეზას ძემ **მეზურნოვმა**—სპარსული ვერცხლის ფული.

32. ვასილ ალექსის ძემ **პაპიძემ**—ერთი ვერცხლის ფული.

33. გიგო იოსების ძემ **ნოზაძემ**—სამი ძველი შავი ფული.

34. თედო გაბრიელის ძემ **ქელეხსაშვილმა**—სპილენძის ზოდის ნაჭერი, მიწაში ნაპოვნი ახალ-ქალაქში.

35. მიხეილ სარქისის ძემ **აზაროვმა**—ოთხი შავი ძველი ფული და ერთი თეთრი სპარსული.

36. იოსებ დავითის ძემ **საყვარელიძემ** 31 სიგელ-გუჯარი.

37. გალუსტა იოსების ძემ **ხუციევმა**—სამი ქართული შავი ფული.

38. დავით გიორგის ძემ **ნაზარბეგიშვილმა**—ორი პატარა ვერცხლის ფული.

39. მღვდელმა სვიმონ **კასრაძემ**—ერთი ქართული თეთრი და ერთი შავი რუსული ფული.

40. ალექსანდრე იოსების ძემ **ერმალოვმა**—ერთი შავი სპარსული ფული.

41. ნიკოლა იოსების ძემ **დანდუროვმა**—ერთი ძველი სპარსული ფული.

42. ესტატე ზურაბის ძემ **ბარნოვმა**—ა) ორი თეთრი ფული (სპარსული), ბ) სპილენძის ბეჭედი, გ) სპილენძის მედალი და დ) ქეტონი.

43. არტემ გიორგის ძემ **გალუსტოვმა**—ორი ძველი შავი რუსული ფული.

44. პავლე ლაზარეს ძემ **ქელეხსაშვილმა**—აკლდამაში ნაპოვნი ბრინჯაოს სადგისი.

45. გეორქა ალექსის ძემ **მეზურნოვმა**—ერთი შავი ფული ქაიხოსრო მეფისა.

46. ალექსი დიმიტრის ძემ **თაბუაშვილმა** (ოსმა)—ხელთნაწერი მისივე თავგადასავალი და სპარსეთში მოგზაურობა.

47. სანდრო გიორგის ძემ **დანდუროვმა**—ორი ვერცხლის ფული (ქართული და პოლონური).

48. იოსებ თათუას ძემ **ხუციევმა**—ხუთი სიგელ-გუჯარი.

49. არტემ ბერუას ძემ **თათანოვმა**—ერთი ძველი შავი ფული.

50. გეორქა იოსების ძემ **მამულოვმა**—ერთი ძველი ფრანგული ფული.

ზემოხსენებული ნივთები გადმოსცა „საისტორიო საზოგადოებას" ქ-ნმა **ანნა გრიგოლის ასულმა კაპანაძისამ.**

51. ანტონ ივანეს ძემ **ფალავანდიშვილმა:** ა) ალთაფა, ბ) 15 სურათი, გ) პატარა ბოხჩა, დ) ნაქარგის ნიმუში, ე) სავარცხლის ბუდე, ვ) წიგნის ბუდე, ზ) ქისა, ჱ) ნაკერი თავსაკრავი, თ) ავგაროზის ბუდე, ი) თმის გასაყოფი, ია) სპილენძის ბეჭედი, იბ) ბრინჯაოს ირემი, იგ) სურმის იარაღი, იდ) 14 სიგელი.

52. გიორგი დავითის ძემ და სადიკო მელქისედეკის ასულმა **წერეთლებმა**—ფერადებით ნახატი პორტრეტი ზურაბ წერეთლისა და მისის შვილის გიორგის 1807 წელს დახატული.

53. კნ. ნინო დავითის ასულმა **ჩოლოყაშვილისამ**—პორტრეტი ზაალ ციციშვილის მეუღლის ნინოსი.

54. სვიმონ სვიმონის ძემ **ვაჩნაძემ**—ხელთნაწერი ლოცვანი მცირე ტანისა.

55. ანასტასია დავითის ასულმა **წერეთლისამ**— სპილოს ძვლის სავარცხელი და მისი ბუდე (ოქრომკედით ნაქონი), დოსითეოს ქუთათლის ნაქონი.

56. ნინო ალექსანდრეს ასულმა **წერეთლისამ:** ა) აბრეშუმის ბადე, მშობიარობის დროს გადასაფარებელი, ბ) თიხის კულა, გ) სურმალახუსტაკის იარაღი, დ) სარკის ყუთი და ე) სიგელები.

57. დუშიკო **ფალავანდიშვილმა** 14 ჩარჩო სურათებისათვის.

58. კნ. დარია რამაზის ასულმა და ივანე სულხანის ძემ **ჭავჭავაძეებმა:** ა) ერეკლე მეფის ნაქონი საწერელი, ბ) ვერცხლის კოლოფი, გ) ხელნაწერი ლოცვანი მცირე ტანისა, დ) ფერადებით ნახატი პორტრეტი ი. ს. ჭავჭავაძისა.

შემომწირველთ „საზოგადოების" საბჭო დიდ მადლობას სწირავს.

მდივანი **ს. გორგაძე.**

წერილი რედ. მიმართ

10 იანვარს სიღნაღის სამაზრო მკურნალ თ. ჯანდიერის მეუღლემ კნ. მარომ, სიღნაღის ერთ კლასიან სამრევლო სკოლის მზრუნველმა, ამავე სკოლის მოწაფეებს სკოლის შენობაში გაუმართა მშვენივრად მორთული საშობაო ხე. ლექსების წაკითხვისა, თამაშობის და ხილის მიღების შემდეგ მოწაფენი ნასიამოვნები დაბრუნდნენ სახლებში.

ღრმეს მადლობას ვუძღვნით კნეინა მარო ჯანდიერისას, ზემოხსენებულ სკოლის მოწაფენი და მასწავლებლები:

ფ. ხუციშვილი. ბ. ფიცხელაური.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის, საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ, № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II— კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: [illegible] პირველი—[illegible] [illegible]—ოთხშაბათობით დღის 1 საათს, ყველა ზღვის-პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

⁂

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—3 **ი. ვ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10, ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახ. 5, ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

გამოცდილმა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.66)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
◆ წელიწადი მერვე. ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაძესთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში.**—ივანე გოშელაურთან, **განჯაში** ნ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—17 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა